ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3768702

ნომერი: AR1568083

თარიღი : 30.12.2017

გაცემის თარიღი : 12.01.2018

გაცნობის თარიღი : 15.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რობაქიძის გამზ. N7გ-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი I , N14ა კორპუსის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა რობაქიძე , N 7გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხურციძე პ/ნ 60001056814
- თბილისი გრ.რობაქიძის გამზ. N 7 კორ. 5 ბ. 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–2, მე–4, მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1568083 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც, ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონი, რობაქიძის გამზ. N7გ-სმიმდებარედ, მასივი დიღომი, კვარტალი I , N14ა კორპუსის მიმდებარედ, ქუჩა რობაქიძე , N7გ, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N01.13.04.004.032) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონი, რობაქიძის გამზ. N7გ-სმიმდებარედ, მასივი დიღომი, კვარტალი I , N14ა კორპუსის მიმდებარედ, ქუჩა რობაქიძე , N7გ, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N01.13.04.004.032) საზღვრების კორექტირება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი). ვინაიდან ცვლილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა,სცილდება სამსახურის კომპეტენციას, თანდართული ესკიზის მიხედვით ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე შემდგომში უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.